



№ 04 / 03 - 176

“20” იანვარი, 2010

*თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის გარემოზე ზემოქმედების
ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის
ადმინისტრაციული წარმოების პროცესში
არსებული პრობლემების თაობაზე*

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების მინისტრის
ბატონ გოგა ხაჩიძეს

ასლი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსს
ბატონ ნიკოლოზ ჭახნაკიას

ბატონო გოგა,

პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელებისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ჩვენი ორგანიზაციის დროულად ჩართვისათვის. ამავდროულად, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ პროცესში არსებულ რამოდენიმე პრობლემაზე, რომელთა დროული მოგვარება აუცილებელია პროცესის კანონის მოთხოვნათა დაცვით წარმართვისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის პროექტისადმი ისედაც უარყოფითი დამოკიდებულების გაღვივების თავიდან ასაცილებლად.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სამინისტროში წარდგენილია ავჭალის 354 მოსახლის ერთობლივი წერილი, რომლის ხელმომწერი ითხოვენ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარეებად ჩართვას. აღნიშნული წერილის მსგავსად, ჩვენ მივიღეთ ასევე ავჭალის ერთ-ერთი მოსახლის, ბატონი ვაჟა ბესელიას (რომელიც, ზემოაღნიშნულ წერილში დაფიქსირებული იყო როგორც დანარჩენ ხელმომწერებთან საკონტაქტო პირი) წერილის ასლი, რომლითაც წერილის ავტორი ითხოვდა “მისი განცხადების” რეაგირების გარეშე დატოვებას. ჩვენთვის უცნობია, რა მოიმოქმედა სამინისტრომ ბატონი ბესელიას წერილის საპასუხოდ, მაგრამ გვსურს შეგახსენოთ, რომ ავჭალის მოსახლეობის წერილს ხელს აწერდა 354 ადამიანი, ხოლო ბატონი ბესელია იყო მხოლოდ ერთ-ერთი ხელმომწერი. ამდენად, მისი 2009 წლის 28 დეკემბრის წერილი არ ათავისუფლებს სამინისტროს ვალდებულებისაგან აცნობოს დანარჩენ 353 მოსახლეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცვლად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ამდენად, სამინისტროს აქვს შესაძლებლობა დაზოგოს სახელმწიფო ხარჯები და წერილში მითითებულ მისამართებზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის ნაცვლად, ისარგებლოს ზემოაღნიშნული უფლებით. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის თანახმად, თუკი დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ დაწესებული ვადა გაუშვა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობით, გაშვებული ვადა უნდა აღდგეს.

ასევე, გვსურს, ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ ადმინისტრაციული წარმოების ვადებთან დაკავშირებით. “ლიცენზიებისა და ნებართვების” შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების წარდგენიდან 20 დღის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ სანებართვო დოკუმენტაცია სამინისტროში 15 იანვარს შევიდა, საქართველოს შრომის კანონონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების გათვალისწინებით¹, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სამინისტროს ვადა 12 თებერვლამდე აქვს; ხოლო ორჰუსის ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული განცხადების თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება 2010 წლის 4 თებერვლამდე გაგრძელდება. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განსახილველი საკითხების სიმრავლის მიუხედავად, გაუგებარია, რა მიზეზებით მოხდა ადმინისტრაციული წარმოების ისედაც მცირე ვადის ხელოვნურად შემჭიდროვება და ადმინისტრაციული წარმოებისათვის ხელმისაწვდომი ვადის 6 სამუშაო დღით შეკვეცა. გთხოვთ, მოგვცეთ განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით.

გარდა აღნიშნულისა, აქვე შეგახსენებთ, რომ სწორედ მსგავსი მასშტაბისა და მნიშვნელობის პროექტების შემთხვევაში “ლიცენზიების და ნებართვების შესახებ” კანონი, ნებართვის გამცემ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას 15 დღის ვადაში (ანუ მოცემულ შემთხვევაში 4 თებერვლამდე) მიიღოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის 3 თვემდე გაგრძელების შესახებ. ვფიქრობთ, ამ უფლების გამოყენებით, სამინისტრო შეძლებდა დაინტერესებული მხარეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტურ ჩართვას და კონფლიქტის ნათლად გამოსატყუი საფრთხის თავიდან არიდებას.

დასასრულს, გთხოვთ, მოგვანოდოთ ინფორმაცია (1) ეცნობა, თუ არა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელებისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, ავჭალის იმ მოსახლეებს, რომელთა წერილობითი მოთხოვნა, პროცესში მონაწილეობის თაობაზე, წარდგენილია სამინისტროში; თუ ეცნობა, რა საშუალებებით და როდის; თუ არა, რა მიზეზით? და (2) გეგმავს, თუ არა სამინისტრო ადმინისტრაციული ვადის გაგრძელებას.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,



ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი

¹ უნდა აღინიშნოს, რომ “ლიცენზიებისა და ნებართვების” შესახებ კანონში არაფერია ნათქვამი ვადების ათვლის რაიმე განსაკუთრებული წესის შესახებ; ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვადის ათვლა საქართველოს შრომის კანონონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.